# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 241. | კვირა, 1 აგვისტო 1904 წ | გაზეთის № 2571.

### გელათის მონასტრის გაძარცვის გამო



ხახულის ღვთისმშობლის უძვირფასესი ხატი გელათის მონასტერში.

## ლი

(ჩინური ამბავი)

დოროშევიჩისა

ლი ჯალათი იყო.

და მშვენიერი ჯალათიც.

შიმშილით ჰკვდებოდა, როცა ამ ხელობას დაადგა და დაიფიცა, ჩვის სიკვდილსაც კი უბძანებდნენ, ყველა მოეკლა.

— თავი მსაჯულისაა, მე მხოლოდ იმის ხელი ვარო!— მოხსენებული იყო ფიცში.

ამის შემდეგ ლი არც სიბრალულსა ჰგრძნობდა, არც საშინელებას, არც ზიზღსა და არც სინანულს.

— ეს ჩემი ხელი არაა. ეს—მსაჯულის ხელია. მსაჯული რაც უნდა, იმას აკეთებს თავის ხელით. მსაჯულმა იცის, მსაჯული აგებს პასუხს.

და ლი დამშვიდებული იყო.

ყოველს კვირაში რამდენსამე თავს გააგორებდა ხოლმე ბაზარში.

ამ სამუშაოზე ისევე დადიოდა, როგორც წინად მიდიოდა ყუთებისა და ჩომრების სათრევად.

სინიდისი დამშვიდებული ჰქონდა. ლი პატიოსანი იყო. ამაყობდა იმით, რომ არასოდეს არავინ არ უტანჯნია.

ამ დაკვრის შესასწავლად დიდხანს ვარჯიშობდა ჯერ ჯირკებზე, მერე ღორებზე. გულმოწყალე ვაჭრები ასაჩუქრად აძლევდნენ ღორებს იმ აზრით, რომ ლი გავარჯიშებული იყო და იმის ხელით მოსაკლავთათვის ტანჯვა შეემსუბუქებინათ.

ლიმ თავისი ხელობა უმწვერვალეს ხარისხამდე განივითარა.

სიკვდილ-მისჯილი დაჩოქილი იყო ხოლმე და ხელები უკანა ჰქონდა გაკრული.

ჯალათის თანაშემწე ნაწნავში ჩაავლებდა ხელს, თავს გადაუწევდა, ლი კისერზე მახვილს დაჰკრავდა, თავი შორს გაგორდებოდა და ორ უმთავრეს ძარღვიდან ამოხეთქილი სისხლის ორი შადრევანი მდუღარესავით მიესხმებოდა ხალხს.

ყველა ეს ერთს წამში ხდებოდა. ასე რომ სხვები სასიკვდილოდ განმზადებულნი და იქვე დაჩოქილნი მოწონების ნიშნად ბრბოსთან ერთად იძახოდა:

— ხო!—ო.

იქნება იმიტომაც უწონებდნენ ასე, რომ მართლაც მშვენივრად დაჰკრავდა მახვილსა, ან იქნება იმიტომ, რომ ჯალათის გული მოეგოთ: ჩვენც ასე მალე გაგვათავოს და აღარ გვაწვალოს სიკვდილის წინადაო.



აბულაძე



იაპონელების იერიში ვაფანგოუს ჩრდილოეთით.



მეომარი ქალი. რუს ათაცრის ცოლი.
(სურათი გადაღებულია მუკდენში)

მაგრამ ლი გულ-მოწყალე ჯალათი იყო. არავისაც არ აყენებდა ტანჯვას.

ის ზედაც არ უყურებდა ვინ იძახდა „ხო“-ს.

იმისთვის სულ ერთი არ იყო?

— ეს ჩემი ხელი-კი არა,—მსაჯულის ხელიაო,—ფიქრობდა იგი.

ლი მარტო კისერს ხედავდა, მოუქნევდა და გააგდებინებდა.

ამგვარად ძალიან ბევრი თავი გააგორა, მაგრამ არ იცოდა და არც სურდა გაეგო, ვინ იყვნენ ესენი, ან რა მოემოქმედნათ.

— მსაჯულმა იცის, მსაჯული აგებს პასუხს. ხელი იმას აკეთებს, რაც ბატონსა სურსო.

ერთხელ, როდესაც ლიმ მარდად და ძლიერად მოიქნია მახვილი, თავი გააგდებინა ვიღაცას და იქვე დაჩოქილმა სასიკვდ-ლოდ განმზადებულმა ჩვეულებრივად დაიძახა:

— ხო! —

ლი შეკრთა; ეს ხმა ემცნაურა, გადახედა „ხო“-ს მთქმელს და იგრძნო, რომ ხელი უღონოდ ჩამოეშვა ძირს და მახვილი საოცრად დამძიმდა.

ეს კაცი იმის ძმა იყო. უმცროსი, ერთად-ერთი ძმა.

სახე-გაფითრებული, ფართოდ გაღებულ თვალებით შეჰყურებდა იგი ლის და ფერწასული ათრთოლებულის ბაგით სცდილობდა გაელმნა ჯალათისათვის, რომ არ ეწვალებინა.

მაგრამ ეს მხოლოდ ერთს წამს იყო. ჯალათის თანაშემწემ ჩაავლო ხელი ნაწნავში და თავი წინ წააწვდევინა.

ლიმ გადაიბიჯა უთავო ტანს და სიკვდილით დასაჯელთან გაჩერდა. იმის წინ წაწვდილი კისერი იყო და ამ კისერში რაღაც თრთოდა და კრთებოდა.

ლიმ დაჰკრა მახვილი...

მოვაჭრეებმა თავიანთი საქონელი დაჰფარეს, რომ სისხ-

სხვა დასასჯელნი მწკრივად დაჩოქილნი იყვნენ და სიცოცხლის ნიშან-წყალ გამოცლილნი ემზადებოდნენ, რომ „ხო“ დაეძახნათ.

ლი შეიჭმუხნა.

ზემოდ აწეული მახვილი საშინელი მძიმე იყო, უკან ეწეოდა. ლი ბარბაცებდა, მუხლთ ეკეცებოდა. აი, საცაა მახვილი გადასძლევს და გულ-აღმა გაიშხლართება.

— ხელი მსაჯულისაა... ხელი... ხელი!.. იმეორებდა იგი თავისთვის.

ბოლოს, მოიკრიბა მთელი ძალ-ღონე და დაჰკრა მახვილი.

ლიმ ის გაიგონა, რაც არასოდეს არა სმენია.

ხოლო ორმა ცხელმა შხეფმა, ვითა მდუღარის წვეთებმა, სახე დაუთუთქა ჯალათსა! ლის ყოველთვის ხვდებოდა სახეზე სისხლი, მაგრამ არასოდეს ასეთი ცხელი არა ყოფილა. ლიმ თვალი გაახილა და დაინახა როგორ აწყდებოდა მიწას დაჩოქილი კისერ გასისხლიანებული კაცი.

ლის მახვილი დასცდენოდა და მხოლოდ ტყავი ჩამოეჭრა თავიდან.

გადმომსკდარ ალისფერ სისხლის ქვემოდ თეთრად მოსჩანდა ძვალი.

დანარჩენი სიკვდილ-მისჯილები მთელის ტანით ათრთოლებულნი შეჰყურებდნენ ლის.

საშინელებით განმძვინვარებული ბრბო მოუთმენლად ღრიალებდა.

ლიმ თვალები დახუჭა და ხელ-ახლად მოუქნია მახვილი.

და მახვილმა, თითქო საშინლად მძიმე ყოფილიყოს, ხელ-ახლად გადასწია უკან ლი, და ამასთან ხელი უღონოდ დაეშვა ძირსა.

თითქო ხელ-ახლად მოხვდა მდუღ-რე შხეფები ლის სახეს, ხელ-ახლად გაისმა გულ-საკლავი კვნესა.




ძველ რომაელ მანდილოსანთა თავის გართობა.—გაწრთვნილი ბატები

ლი კვნესა კიდევ მოესმა მწუხარებით ათრთოლებულ ლის. ეს თვით იგი ლი კვნესოდა.

ლის სულთქმა უჭირდა. სიკვდილით დასასჯელმა-კი საშინელის კლაკნით მოიბრუნა იმისკენ ტანჯვისაგან მოღრეცილი სახე და ძლივს წარმოსთქვა:

— რისთვის მაწვალებ, ძმაო?

— დაჰკა! ჰყვიროდა აღშფოთებული ბრბო. ლი ძლივს დგებოდა ფეხზე.

— დაჰკარი! უთხრა მან თავისს თანაშემწეს და მახვილი გაუწოდა.

არასოდეს ასე მძიმედ არა სჩვენებია ლის ეს მახვილი. თანაშემწე წამოხტა და გახარებული, რომ ამ წუთას გამოიჩენდა თავის სიმარდეს, ღიმილით დასწვდა მახვილსა და ისე ადვილად გაიქნია, თითქო ფრთა ასხიაო. ლიმ ჩაიჩოქა, თვალები დახუჭა, კბილები დააღრჭიალა და რაც ძალა ჰქონდა ნაწნავით გადმოსწია ძმის თავი.

რამდენს ხანს გაგრძელდა ეს, ლიმ არ იცოდა.

საფეთქლები ისე უცემდა, თითქო იქით-აქეთ ჩაქუჩს ურტყამენო; საოცარს ტკივილსა გრძნობდა. ხელი მაგრა ჩაეჭიდნა ნაწნავისათვის.

და თითქო უცბად ვინმემ ხელი წაჰკრაო, ხალხისგან წარმოთქმულ „ხო“-ში რაღაც ხრაჭუნი მოესმა.

ხელში თითქოს აღარაფერი არა ჰქონდა.

ლი თავდაღმა დაეცა და გადატრიალდა. ხელში ნაწნავით ეჭირა მოჭრილი თავი ძმისა.

ბრბო ხარხარებდა. ლი-კი ეგდო მიწაზე, ღონე არა ჰქონდა ამდგარიყო, თითქო დამტვრეულ-დაჩეჩქვილიაო. თავით ბოლომდე სისხლით იყო გასვრილი, და ასე ეგონა, ამ სისხლს ჩემს ტანზე ცეცხლი უკიდიაო.

იგი განცვიფრებული შეჰყურებდა ლაჟვარდ ცას, სადაც ნარნარად მისრიალებდნენ ღინღლივით მსუბუქი ღრუბლები და ჰფიქრობდა:

— ზეცავ, რათ არის ასე, რომ იმასა ვტანჯავთ, ვინც გვიყვარსო?

**განდეგილი.**



„ზაფხულის სიცხე“.—სურათი კემმერერისა.

## რედაქციისაგან

ვისაც „ცნობის ფურცლის“ და „მოამბის“ წლიური ფასი სრულად არა აქვს გადახდილი, რედაქცია სთხოვს დაიჩქაროს შემოტანა, რათა გამოცემათა გზავნა არ შეჩერდეს.

„ცნობის ფურცელი“ 1-ლ აგვისტოდან წლის დამლევამდე ღირს 3 მან.

ადრესის გამოსაცვლელად—ვინც ერთი ქალაქიდან მეორეში გადადის, უნდა გადაიხადოს 40 კ., ვინც ტფილისიდან გადის—1 მან.



ტფილისის სანიტარები იძულებულნი არიან ასე იარონ შეჭურვილნი ქუჩების დასათვალიერებლად, რომ აიცილონ ათასი გადამდები სენი.

### ბელ-ვიუ



საამური გასართობი ადგილი



1-ლი მანდილოსანი:—წარმოიდგინეთ, სასანიტარო პოლიცია გვიბრძანებს სახლისპატრონებს, გავიჩინოთ რაღაც სანაგვო ყუთები და ამასთან შევღებოთ კიდეც... თუ ყველა მისი ბრძანება ავასრულეთ, ხომ სრულიად გავკოტრდებით!

მე-2 მანდილოსანი:—არაფერი არ გვიჭირს, თუ ყველა სახლის პატრონი ჩემსავით მოიქცევა: ყველა ახალი ხარჯი ჩემს მდგმურებს დავაკისრე...

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.